ᲓᲠᲝᲨᲘᲐ

სურათებიანი დამაგები

გაზეთის № 166. კვირა, 19 ივლისი 1909 წ. დამატების № 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყემსის სიკვდილი

—:—

მკათათვის მზე უხვად აფრქვევდა სხივებს მშვენიერ ალაზნის თავზე *). ღრუბლის ერთი ნამცეცი არსად არა სჩანდა. მეცხვარეებს გაეფანტათ ცხვარი მთის კალთებზე. აქა-იქ ხორხებში თეთრად მოსჩანდნენ მილეული ზვავები. ზვავების ქვეშიდან გამოსჩქეფდნენ ანკარა წყლები და ჩანჩქარით, აღქაფებულნი მიისწრაფებოდნენ თუშეთის ალაზნისაკენ; ალაზანიც წყნარად მიჰგორავდა გაშლილ რიყეზე და იხუტებდა მათ თავის გულში.

ალაზანს მარცხნივ ერთვის სამროვანის წყალი. ამ წყალზე დევს ცხვრის ბინა. მეცხვარეებმა გაათავეს ცხვრის წვეა; ბაკიდან გამოშვებული დამშიებული ცხვარიც გაიშალა საძოვრად ბინის ახლო-მახლო მყუდრო-გორაკებზე. ბინაში მეყველე შეუდგა ყველის კეთებას.

— ჰეი, ბინის პატრონებო! — გაისმა ხმა.

ძაღლები ყეფით გაექანნენ ხმისაკენ.

— მიეშველენით, ვინ არი, არ გააფუჭონ ძაღლებმა!— უთხრა ბიჭებს ბინის პატრონმა.

ერთი წყემსთაგანი გაქანდა სტუმრისაკენ. არ განვლო ბევრმა ხანმა, სტუმარი შევიდა ბინაში.

— შენა ხარ, ჯაბო, გამარჯვება კაცო, რას იქ, ხომ კარგათა ხარ შენი საქონლით! — დაუხვდა სტუმარს ბინის პატრონი.

— ეჰ, ჩვენი მტერი იყოს ისე, როგორც მე ვარ ეხლა! — ამოიოხრა ჯაბომ, რა დაეყუდა არყის ჯოხზე და მიმოავლო სევდიანი თვალები ბინას.

— რა, ცხვარი, ან ცხენი ხომ არ წაგისხეს ქისტებმა?—მოუთმენლად ჰკითხა მასპინძელმა.

ქისტების თავდასხმა თუშ-ფშავლების მეცხვარეებზე და საქონლის მოტაცება ხშირი მოვლენაა მთაში.

— არა, კაცო, — სთქვა ჯაბომ, — წყემსი დამეღუპა..,

— როგორ თუ წყემსი დაგეღუპა, რომელი წყემსი?!..

— აი ხორბალოელი ქისტი არა მყვანდა—ბაი.

— რა მოუვიდა იმ საწყალს? — მოუთმენლად მიუბრუნდა ჯაბოს ახალგაზდა წყემსი, რომელიც იმ ბინის საწველ ცხვარს დასდევდა და გუდაში ქუმლის და ხაჭოს თავის დღიურ საგძალს ამზადებდა, — სამი დღის წინ ვნახე ის კაცი ცხვარზე და რა ვიცი, მე იმას არა შევატყე რა; ძალღონით სავსე იყო ის კაცი.

— კლდეზე გადაიჩეხა...—მღელვარე ხმით წარმოსთქო ჯაბომ.

*) ალაზნის თავი-თუშეთშია, შეადგენს თუშეთის ალაზნის სათავეს, შემდეგ ეს მდინარე ანდიის ყოისად იწოდება.

— საწყალი... რა მოსვლია უბედურს...

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ თავი ჩაღუნა.

— საწყალი ბაი! — ნაღვლიანად ამოიხვრა ახალგაზდა წყემსმა, — მხიარულ გუნებაზე იყო; ეს ერთი კვირაც და წავალ შინაო...

წყემსის ბოლო სიტყვებზე ჯაბოს სახე მოეღუმა და იმის გულის სიღრმიდან სიმწარის ოხვრა ამოვარდა.

საქართველოს ხალხური ბიბლიოთეკა ტფილისი

კლემანსო. — საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი. მისი კაბინეტი ამ ორი კვირის წინად გადადგა, რადგან პალატამ ნდობა არ გამოუცხადა.

— ეხლა მე მინდა რამდენსამე კაცს ვაჩვენო ის უბედური — „სთქვა ჯაბომ რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, — რომ შემდეგ, ვინიცობაა რამე დავიდარაბა ასტყდეს, მიმოწმონ; ამისათვის ერთ-ერთი უნდა გამომყვეთ.

რატომ, რატომაც არ გამოგყვებით! — იმედიანად უთ-

ხრა ბინის პატრონმა, — ცოტა მოითმინე, ხელად ყველს მოვრჩები და წავიდეთ.

— შენ-კი არ წამოხვალ? — მომიბრუნდა ჯაბო.

— უეჭველად, — იყო ჩემი პასუხი.

ბევრ ხანს არ ალოდინა ბინის პატრონმა, გაათავა ყველის კეთება თუ არა, ერთად გაუდექით გზას. გზა და გზა გავიარეთ რამდენიმე ბინა და ყოველ ბინიდან თითო კაცი მაინც შემოგვიერთდა.

— ერთი გვიამბე, ჯაბო: როდის და როგორ გადაიჩეხა ის უბედური ქისტი! — ვკითხეთ ჯაბოს.



ახმედ-მირზა. — ახალი შაჰი სპარსეთისა.

— გუშინ-წინ საღამოს, — დაიწყო ჯაბომ: ბინიდან ვხედავდი სამროვანის კლდის ძირას დაფანტულ ჩემ ცხვარს, რომელსაც დასდევდა ის უბედური ქისტი და მიკვირდა, რომ ნაწიდრისაკენ არ აქუჩებდა. კარგა დაბნელდა. ცხვარი ისევ ისე დაფანტულია და წყემსი-კი არსადა სჩანს. გავედი-გამოვედი, ვუძახე—ქისტი არ არი—ცხვარი ნაწიდარს მოვაქუჩე, წავიღე ბინიდან თოფი, ნაბადი და დავწექი ცხვრის თეოს. გათენდა და წყემსი-კი არსად არი. დაიკარგა. გუშინ შემოვიარე ეს მიდამო მთა და კლდე ღრე და ძებნაში დავლიე მთელი დღე. დღეს დილა ადრიანად გავედი ისევ საძებნელად. ვიფიქრე, ქისტებმა ხომ არ მოკლესო და ავედი პირდაპირ ნაროვნის ღელეზე. იქიდან გადმოვლახე ნაროვნის კლდის თავი. დაღლილი ჩამოვჯექი ერთ ქვაზე დასასვენებლად. სიო ხევიდან უბერავდა. უცბად გულ მოსაკლავი ხმა მომესმა; სმენად გარდავიქეცი. ძაღლის ღმუილი მომესმა. გავიგონე ძაღლის ღმუილი თუ არა, რაღაც ტკივილი ვიგრძენი გულში, თითქო დანა გამიყარესო.

— აი, იმ ღრეზე, — გაიშვირა თითი მოლაპარაკემ სამროვანის კლდისკენ, — რომელიც წვერვალოდან პირდაპირ ძირს ეშვება, ჩამოვედი. ღმუილს უფრო და უფრო ვუახლოვდებოდი დავინახე ძაღლი; წამოსკუპულიყო ერთ ქუდუროზე და ცხვირი ზეცისაკენ აშვერილი, გულ მოსაკლავად დაჰღმუოდა. დავინახე ძაღლი თუ არა, თავს ზარი დამატყდა, თვალებთ დამიბნელდა. ძაღლი ჩემი ქისტისა იყო: თავის პატრონს დასდევდა მუდამ, ერთგული იყო, არა შორდებოდა არასოდეს. მიუახლოვდი ძაღლს. დამინახა ამ ჭკვიანმა და კეთილმა პირუტყვმა თუ არა, მომვარდა და წკუნვით, კუდის ქნევით ფეხებზე დამიწყო ხვევნა ხან შემომაცქერდებოდა და მის ჭკვიან თვალებში სევდასთან ერთად ვკითხულობდი თხოვნას, მუდარას, რომ მეშველნა მისთვის, დამედო რამე წამალი მის დაკოდილ გულზე .. რამდენიმე წუთის შემდეგ ძაღლი უცბად გაქანდა, გადაიარა ერთი ჭუდურო და მიიმალა. მივყევი მეც, ავედი ჭუდუროზე და ჩავიხედე ძირს ვაკე ქვიშიან ღრეში თუ არა, დავინახე ქვიშაზე გაშხლარტული ქისტის გვამი და მასთან მისი ერთგული ძაღლიც.

ცოტა ხანს შესდგა მოლაპარაკე და მერე განაგრძო:

— ვერ აგიწერთ, ბიჭებო, თუ როგორ იმოქმედა იმ სურათმა ჩემზე... მოვკარი თვალი ქისტს თუ არა, როგორც გაქვავებული, ერთ ალაგას დავრჩი; სიბნელით მოიცო ჩემთვის არემარე. ძაღლი-კი ისევ გამოექანა ამ დროს ჩემკენ და გულ მომაკლავ წკმუტუნით ჩამივარდა ფეხქვეშ; შემდეგ შესდგა უკანა ფეხებზე, ამეტოტლა და თვალი თვალში გამიყარა. ველარ გავძელი; გავაგდე დალოცვილი პირუტყვი. ეჰ, მართლა რა უნდა ექნა წყემს, ძაღლი, რომ არა ჰყოლოდა... მე ძმა არა მყოლია, — განაგრძო ჯაბომ სიჩუმის შემდეგ: — და არა მგონია, რომ ძმის სიკვდილმა ისე გული მოუკლას კაცს, როგორც მე მაგ ქისტმა მომიკლა... როგორც ძმა მიყვარდა ეგ უბედური. პატარაობიდანვე ერთად ვიყავით, ერთად შევიზარდენით სხვითა შვილობაში, სხვითა კერას ყურებაში, ერთად დავდიოდით თრიალეთში რამდენიმე წელიწადი, ერთ კაცს ვედექით წყემსებათ. ბევრი ჭირ-ვარამი გამოგვივლია ერთად, ბევრჯერ გაგვიტეხია ერთად ჯოხზე ყუდილით ზამთრის და ზაფხულის ღამეები. ერთი სიტყვით ერთად გვისვამ ცხოვრების როგორც ტკბილი, ისე მწარე ფიალა და განა ამ ფიალას არ შეეძლო, რომ შეგვყვარებოდა ერთი ერთმანეთი, როგორც ძმებს?.. დიაღ, ძმათ მიმაჩნდა და დღეს-კი დავკარგე, მერე როგორ?!...

აქ მთის შვილი გაჩუმდა. შევხედე, ჯ თვალებში ცრემლი შევნიშნე.

— ეჰ, — ამოიოხვრა ჯაბომ კარგა ხნის დუმილის შემდეგ: — ჩვენ, ამ წყემსების გაჩენისაში ღმერთი არ ურევია. ერთი დააკვირდით ჩვენ ცხოვრებას, ჩვენ სიცოცხლეს. სახლკარი გვაქვს და გვენატრება-კი, ცოლშვილი გყვავ და ვერ დავტკბარვართ მათი სიყვარულით. შევყურებთ ცას და დედამიწას და ვიარებით ყველაფერს განშორებულნი ლუკმა პურისათვის და მისი ნამდვილი გემო-კი არ ვიცით რა არის და აი ამ ნაირი ტანჯული ცხოვრება თავდება მით, რომ ან უნდა კლდეზე გადავიჩეხნეთ, ან ულმობელ ტყვიის მსხვერპლი გავხდეთ, ან არა და უნდა დავლიოთ სული უპატრონოდ სადმე მთაში ან ბარში, როგორც ტყის ნადირმა! .. — დაასრულა ჯაბომ. ჩვენც მდუმარედ მივსდევდით მას და ყოველი მისი წმინდა გულიდან ამონაკვნესი სიტყვა გულს გვხვდებოდა.

მივედით კიდეც ჯაბოს ბინაში; ავიღეთ ქეჩა, წერაქვი, ნიჩაფი და გავსწიეთ ცხედრისაკენ. ჯერ კარგა ხანს ხევ-ხევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერდარ-ასადი. — ბახტიარების უფროსი. შაჰის გადაყენებაში პირველი როლი ითამაშა.



ბრძოლა ყაზვინში. — ჩასაფრებული ფიდაები თოფებს ესვრიან შაჰის ჯარს.

ვიარეთ, შემდეგ შევადექით სამროვანის ერთ ვიწრო ღრეს და, ბევრი არ გვივლია, დავადექით ქისტის გვამს.

გარს შემოვეხვივენით გვამს. მდუმარება ჩამოვარდა. ყოველი ჩვენგანი იდგა თავჩაღუნული, უძრავად, თვალებ ქისტის გვამისაკენ მიპყრობილი. მშვენიერი დღე იყო. ქვეყნის დიადი მნათობი უხვად აფრქვევდა სხივებს. აქა-იქ მთის კალთებზე გაფანტული ცხვარი ხარბად სძოვდა ნოყიერ ბალახს. სასიამოვნოდ დაჰბერდა მთის სიო. სამროვანის წყალიც ჰქუხდა, გზა და გზა გაშმაგებით ებრძოდა თავის ვიწრო კალაპოტში ქვის უშველებელ ლოდებს, რომ გაერიყა როგორმე ნაპირას და მით გაეკვეთა თავისუფალი გზა...

დიალ, მშვენიერი, გულწარმტაცი იყო ბუნება, იზიდავდა კაცს, ახარებდა, ბედნიერებას აგრძნობინებდა, მაგრამ იმ წუთს ჩვენ უფრო გულს გვიკლავდა. პირდაპირ თვალ-დათვალ ვუყურებდით სიკვდილს, რომელიც აუცილებლად ყოველს თვალზე გვიწერია და რომელსაც შხამიანს და ბასრს კლანჭებიდან ვერავინ ვერ წაუვა. გულს გვიკლავდა იმ დროს არა ბუნებრივი სიკვდილი, არამედ იმისთანა, რომელსაც იმ წუთს ჩვენ თვალით ვუყურებდით—კლდეზე გადაჩეხა... ყოველი იქ მდგომი მეცხვარე, ბუნების შვილი, მოელოდდა იმ ნაირ, არა ბუნებრივ სიკვდილს და ამისთვისაც გულში გესლი ეწვეთებოდა...

ცხედარს ნაბადი ჰქონდა გადაფარებული. ერთმა ჩვენგანმა ნაბადი გადაჰხადა პირიდან. ყველამ პირი მოვარიდეთ საზარელ სურათის დანახვაზე. თავის ნახევარი კანი ყურითურთ მხარზე ეგდო; უკვე გაჩენილ მატლისაგან მთლად თეთრად გალესილიყო დაჭრილ-დაფლეთილი თავი. ჯაბო

ნასრ-ულ-მულკი. — სპარსეთის მინისტრ-პრეზიდენტი. განათლება ოქსფორდის უნივერსიტეტში აქვს მიღებული.

რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე ჩამოგვრჩა, რადგანაც გული აღარა ჰქონდა, რომ ეყურნა იმ სურათისათვის.

— როდემდისინ უყურებთ, კაცო, ჩამოიტანეთ, დრო მიდის! — დავავბარა ჯაბომ.

ქეჩაზე დავაწვინეთ ქისტი. აქეთ-იქიდან მოვეკიდენით ექვსი კაცი და ნელ-ნელა. ღრე-ღრე ჩამოვიტანეთ ძირს ხევში, ვაკეზე.

— აბა ეხლა რა ვუყოთ, რა ვქნათ? — სთქვა ერთმა.

— რა უნდა ვუყოთ და უნდა როგორმე კახეთში ჩავუტანოთ და და ჩავაბაროთ პატრონს, — უთხრა ჯაბომ.

— ოჰ, კაი ჩატანა კი უნდა ეხლა მაგას კახეთში. სუ დაიშლება. — შენიშნა მეორემ.

— რაც უნდა მოუვიდეს, მაგის აქ დაგდება-კი არ შეიძლება... სუ რომ არა იყოს რა, ზურგით ჩავიტან და პატრონს-კი ჩავაბარებ, — სთქვა ჯაბომ.

— თუ კახეთში ჩაიტანთ, გაჭრა დასჭირდება, — სთქვა მოხუცმა, რომელიც ბოლოს მოგვეშველა ერთ ბინიდან.



შეიხი ფაზლულა. — რეაქციონერთა ერთი მეთაურთაგანი, უმაღლეს სასამართლოს დადგენილებით, ამ ერთი კვირის წინად ჩამოახჩვეს.

— რასაკვირველია, უნდა გაიჭრას, — დასძინეს სხვებმაც, — უიმისოდ ვერ ჩავიტანთ კახეთს. ცხედარი უხერხულია ცხენზე მთის ოღრო-ჩოღრო და საშიშ ბილიკებზე და ცხენიც ვერ ზიდავს.

— აბა ერთი გასჭერი, ეგნატე, მიუბრუნდნენ მოხუცს — შენ, უეჭველია, არი ერთი და ორი გაგიჭრია.

— ორი გამიჭრია, — სთქვა დინჯათ მოხუცმა, — ჩვენ მეცხვაროობაში რას არ ნახავს, არ გაიოცვლის კაცი, აბა, — მოგვიბრუნდა, — ერთი მჭრელი დანა ვისა გაქვთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაწოდეს დანა. მოხუცმა მოგვატანინა წყალი, გაატიტვლა ცხედარი, გარეცხა, გასწმინდა მატლისაგან, გაასუფთადა შეუდგა ჭრას. ისე ოსტატურად გამოშიგნა მოხუცმა გვამი, რომ არც ერთი ასო დანის უხერხულის მოსმით არ გაუფუჭებია. ამოვთხარეთ ორმო, ჩავფალით ცხედრის შიგნეულობა, მივაყარეთ მიწა, ზედ მძიმე ქვები დავაწყეთ, რომ ძაღლს ან ნადირს არ ამოეთხარა და ზემოდაც სიპის ქვა დავადეთ განსვენებულის სახელის და გვარის ზედ წარწერით. გვამი გადასჭრა მოხუცმა წელში, დაჭკრა წიხლი ხერხემალს და გადასტეხა. ერთი ნახევარი გვამისა ჩავდეთ ერთ ტომარაში და მეორე მეორეში. ტომრები შევკარით ცალებად, ავკიდეთ ცხენს და გავისტუმრეთ კახეთში, მხოლოდ იმისათვის, რომ დაეტირნათ ცოლს და ნათესავებს და დამარხულიყო „მამა-პაპათა საფლავებს შორის!...“

მოკვდა წყემსი. ტანჯვაში გაიზარდა და ბოლოს ერთ ფრიალო კლდეზე გადაიჩეხა და ტანჯვაში დალია ტანჯული სული!... მისი ერთგული ძაღლი ისევ ისე დაჰლმუოდა და მის გულმოსაკლავ ღმუილს ბათს აძლევდა სამროვანის კლდე, სადაც დალია სული მისმა საყვარელმა პატრონმა!...

ივ. ბუქურაული.

აგარაკზე წასვლა ოჯახისა.

დატვირთული ქმარი. — უჰ! რა ძნელია ცოლშვილის აგარაკზე გადაბარგება!...

აგარაკში ყოფნა.

ყმაწ. — შენ გენაცვალე, ერთი მაკოცნინე!
ძალი. — ეხლა არ შეიძლება, დაგვინახავენ.

სტუმ. — რას იტყვი, ელენე, დღეს ტყეში არ გავისეირნოთ?
დიას.—დღეს საღ. ჩემი ქმარი უნდა ჩამოვიდეს ⁄ უხერხულია...

გავშვეგი.—უჰ რა კარგია ტალახში თამაშობა!

აგარაკიდან დაბრუნება

ქმარი.—ვაი ჩემი ბრალი: ისე გამატყავა აგარაკმა რომ ფეხსაცმელიც კი აღარა მაქვს.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. ქიქნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.